ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1900 ოთხშაბათი, 20 დეკემბერი № 1333

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 21 დეკემბერს 1900 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

ქ. მ. საფაროვი-აბაშიძის და **ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით დანიშნულია ბენეფისი **კ. ნ. შათირიშვილისა.** წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა

კარდინალ რიშელიე

დრამა 5 მოქმ. თარგმანი ალექსი-მესხიშვილისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი მდივანი და გარელი; ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, შათირიშვილი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, კანდელაკი, ურუშაძე, ავალიანი, იმედაშვილი, მირიანოვი, იორდანოვი და სხ.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის კერძო

სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით — 9—10 ს.

ნ. ა მუღინი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი —10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი - თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12—1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი — სქესობრივი $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილის-სა, კანისა და საშარდესი — $1^1/_2$—2 საათამდე

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი - წინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები - მორიგებით. კრაოტი 4 მან დღე და ღამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი

სამწუხარო ამბავი

ჩვენმა საზოგადოებამ ყური შეაჩვია სამწუხარო ამბავს, რომლის შესახებ ჩვენ გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ დღეს. ეს ამბავია — ქართველ სტუდენტების გაჭირვებული ყოფა-ცხოვრება.

მათი უნუგეშო მდგომარეობა ყველამ კარგათ ვიცით, რადგანაც დღე არ გავა ისე, რომ არაფერი არ გავიგონოთ ან არ წავიკითხოთ მათ შესახებ. უკანასკნელ ხანებში, მაგალითად, თითქმის განუწყვეტლივ გვესმის დასაღონებელი ჩივილი და მუდარა ჩვენის ახალგაზრდობისა. არ შეიძლებოდა დამშვიდებით წაგეკითხათ „ივერიაში“ დასტამბული წერილები ტომსკის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების მეტად გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ. იქ, შორს და ტუმრის არა მოყვარულ ქვეყანაში, გადახვეწილა რამდენიმე ქართველი ახალგაზდა სწავლის შეძენისათვის და მწყურვალ-მშიერი, უპატრონოთ მიტოვებული დიდის ვაი-ვაგლახით ეწევა მძიმე უღელს. ეს ქართველი ახალგაზდები ნამდვილი თავდადებული ქართველებია, რადგანაც წინ დაწინვე იციან, რომ ბევრი მათგანი ვერ გაუძლებს საშინელს პირობებს და ან სრულიად ველარ დაბრუნდება სამშობლოში, ან დაბრუნდება სამუდამოდ დაავადმყოფებულ-დასუსტებული... არა სასიამოვნო ამბები მოვიდა აგრეთვე კიევისა და ხარკოვის ჩვენებურ სტუდენტობისაგან. კიევში გაუმართავთ ჩვეულებრივი საღამო და მოგების მაგიერ ზარალი მოსვლიათ. ხოლო ხარკოვში სრულიადაც ვერ მოუხერხებიათ საღამოს გამართვა. ამრიგად, კიევისა და ხარკოვის სტუდენტებს წელს დაუკარგავთ ის მცირედი სიხარულიც, რომელსაც შოულობდნენ ამგვარ საღამოების გამართვით... გაჭირვებაშია იურიევის ქართველი სტუდენტობაც. „ტფილ. ლისტ.“-ის გუშინდელ №-ში ვკითხულობთ შემდეგ მწარე წერილს: „საექიმო ფაკულტეტის სტუდენტი დ. ა. ვ., რომელმაც ყოველივე დასთმო და დიდს გაჭირვებაში სწავლობდა იურიევში, დღეს იძულებულია სრულიად დაანებოს თავი უნივერსიტეტს (თუმცა რამდენიმე თვე ურჩება კურსის დასრულებამდე), რადგანაც უკიდურესს სიღარიბეში ჩავარდა. უნივერსიტეტშიაც აქვს შესატანი ფული და ზაფხულამდეც თავი უნდა ირჩინოს, მაგრამ შველას არსაიდან ელის. ქვრივს დედას, რომელიც ტფილისში სცხოვრობს *), არ შეუძლიან არაფრის გაგზავნა“...

ამგვარი მეტად სამწუხარო ამბები ხშირად გვესმის, მაგრამ, ჩვენდა სასირცხვილოდ, დღემდის ვერაფერი მოგვიწყვია საქმის საშველად. ყოველი შეგნებული ქართველი გრძნობს, რომ ყოვლად შეუძლებელია რაიმე არ მოეწყოს სტუნდენტების სასარგებლოდ, საქმეს კი მაინც ვერ ვხედავთ. რამდენიმე წლის წინად გარდაწყდა კიდეც დამხმარებელ საზოგადოების დაარსება, წესდებაც შემუშავდა, მაგრა საქმე ვერ დაბოლოვდა სასურველად. ამ ჟამადაც არის ქართველ საზოგადოებაში ლაპარაკი საზოგადოების დაარსების შესახებ და აუცილებლად საჭიროა ეხლა მაინც იქცეს სიტყვა საქმედ!

„ცნობის ფურცლის“ გუშინდელ №-ში მკითხველი შეხვდებოდა ამბავს, რომ მთავრობას დაუმტკიცებია წესდება ახალის საზოგადოებისა, რომელიც არსდება ტფილისში კავკასიელ სტუდენტების დახმარების აღმოჩენისათვის. ამ საზოგადოების დაარსებას კარგა ხანია ცდილობდა ტფილისის რუს-ინტელიგენტთა წრე და ბოლოს საქმე დააგვირგვინა. რასაკვირველია, ამ ახალმა ამბავმა საერთო სიხარული უნდა გამოიწვიოს ყველა იმათ შორის, ვისაც გულწრფელად აღონებს ახალგაზდობის გაჭირვება და ყვე-

---

*) ალექსანდროვის ქუჩა, სახლი № 22, სოფიო ვარშაკიძეს სადგომი.

ფელეტონი

*
* *

მახსოვს მე ღამე, ბნელი ღამე შემოდგომისა,
ცისა ტატნობზე ვარსკვლავიც კი არსად ჰკრთებოდა,
მახსოვს, ბუნებას წამოესხა ძაძა გლოვისა,
თითქო ზაფხული ამ წყვდიადში ჩუმად კვდებოდა!
მხოლოდ ხანდისხან ხის შრიალი ესმოდა ყურსა,
ცივი ნიავი ნესტარივით ხვდებოდა შტოებს
და კაეშანი ეშლებოდა ავადმყოფ გულსა,
როს ჩემს გარშემო მწარე კვნესა გაჰქონდათ ფოთლებს!
არ ვიცი რათა, რათ წაიღო გულმა გონება,
რად მომევლინა სხვა სურათი წყვდიადი სახით,
რად მომაგონდა ამ ბნელ ღამეს ჩვენი ცხოვრება
შავს ღრუბლებშია შებორკილი, მოსილი თალხით?
რად გამოჰქროლა ჩემს თვალთა წინ სულ სხვა ნიავმა,
რათა ცვიოდა ჩემს გარშემო მწარე ცრემლები
და რისთვის შთანთქა მათი კვნესა შავმა წყვდიადმა,
ვით შემოდგომის მოწყვეტილი მკვნარი ფოთლები!
ოჰ, თქვენ, რომელთაც დაგიღვრიათ მწარე ცრემლები
ბნელაში, სადმე მარტოდ-მარტო, ხალხის ფარულად,
ბრძოლისგან მოღლილთ დაგიშვიათ ორივ ხელები,
იმედ მიხდილებს სასოება წაგრთმიათ სრულად!
მოიგონევით განთიადი ამ ბნელ ღამეში,
შორით მორბედი, მომავალი სხივები მზისა,
მადლ-მოფენილი დედა-მიწა ყვავილ-ვარდებში,
დროშა სიმართლის და გვირგვინი სიყვარულისა!
მოიგონევით, უბედურნო, რომ ტანჯულ სულსა
იმედმა მაინც მწარე ხვედრი შეუმსუბუქოს
და განთიადსა გაუხსენით კარი გულისა,
რომ წყლულებიდან ძალამ კვალად ამოიფეთქოს!

ი. ევდოშვილი

სასცენო სურათები

ქალაქელების ცხოვრებიდან

მეორე სურათი.

სცენა: სასტუმრო ოთახი თალალას სახლში აზიურ-ევროპიულ გემოვნებაზე: მარჯვნივ ტახტი ხალიჩებით და მუთაქებით, მარცხნივ დივანი სავარძლებით და სუზან-გადაფარებული დიდი რგვალი სტოლი, უკანა კედელში ბუხარი და კედელზე ძველებური საათი. შუაზე შემოსავალი კარები; მარჯვნივ თალალას და სიდოს ოთახი, მარცხნივ სასადილო ოთახი. საღამოა.

სცენაზე არიან სიდო და თებრო; ალაგებენ და ასუფთავებენ ოთახს.

1 სანახავი.

სიდო. აბა, თებროჯან, ერთი ბეწვა მტვერი არსად არ დარჩეს, ყველაფერი კარგა დაასუფთავე.

თებრო. (ცოცხს უშვირავს). სიდოჯან, უთუოდ კი მოვლენ ამაღამ?

სიდო. ვა, მაშ! ნიკოლას ბარათი მოგვივიდა, მოვდივართო; კარგა მოემზადეთ და ვახშამიც კარგი იყოსო.

თებრო. მაშ სიძეც მოვა! სიძე კარგი კაციაო, ლამაზიაო?

სიდო. ისეთი ლამაზიაო, რომ ქალაქში ცალი არა ჰყავსო!.. ძალიან დიდი კაცია თურმე...

თებრო. რამ სიმაღლე იქნება?

სიდო. სამაღლე კი არა, დიდი კაციაო... მითომ ძალიან მსწავლული...

თებრო. ქორწილი როდის იქნება? ახალი კაბა უნდა შევიკერო ხომ?

სიდო. ქორწილი მალე იქმნება, კაბას მე შეგიკერავ... აი, ჩინონიკიანთ ვარუას რომ აცვია, იმისთანას... აბორკებით.

თებრო. (ცოცხს დააგდებს, ტაშს შემოჰკრავს და შეიკუნტრუშებს). შენი ჭირიმე, რა კარგი იქნება! მერე იმ კაბით როგორ ვითამაშებ! ხომ მათამაშებ, სიდო-ჯან?

სიდო. გათამაშებ, მაშ! შენ დაასუფთავე აქაურობა... (ასუფთავებენ. თალალა შემოდის).

იგინივე და თალალა.

თალალა. (შემოდის შუა კარით შესაფერად კარგა ჩაცმული) ჰა, რა ჰქენით? ყველაფერი რიგზეა თუ არა? ისე დააკრიალეთ აქაურობა, რომ ერბო აიკრიბებოდეს!

თალალა. (წამოსასხამს მოიხსნის და ტახტზე ჩამოჯდება). როგორც კი ბარათი მოგვივიდა, იმ წამსვე გავიქეცი წმიდა ნიკოლოოზთან და სანთლები დაუნთე კარებში, ვენაცვალე იმის სახელს!.. (ნიშნის მოგებით). ეხლა კი თვალებს დავუყენებ ჩვენ მტერს, ხომ ვიშოვეთ პატრონი! მერე როგორიც მე მინდოდა, ხმის ამომღები...

სიდო. დედა, შეძლება აქვს რამეო?

თალალა. რა შეძლება? თუნდა ერთი სერთუკის მეტი ნურაფერი ნუ ექნება! მაგისი

ლას მოვალეობაა ხელი შეუწყონ საზოგადოების განვითარებას. ქართველმა საზოგადოებამაც არ უნდა აუქციოს გვერდი ახალს დაწესებულებას და უნდა ეცადოს, რომ კარგად წავიდეს საქმე სიმპატიურ და საჭირო საზოგადოებისა. მაგრამ იმავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება.

ახალს საზოგადოებას საგნად აქვს დახმარება აღმოუჩინოს გაჭირვებულ კავკასიელ სტუდენტებს, განურჩევლად ეროვნებისა. აქედან ცხადია, რა დიდი საქმე უჩნდება ახალის საზოგადოების გამგეთ. კავკასიიდან ყოველ წელს მრავალი ახალგაზდა მიდის რუსეთში და უმეტესი ნაწილი მათგან ხელმოკლეა. რაც უნდა კარგად წავიდეს ახალის საზოგადოების საქმე, მას ძალიან გაუჭირდება ყველას მიაწოდოს შველა. ამიტომაც იგი იძულებული გახდება დიდის არჩევით გასცეს შემწეობა. ეს გარემოება კი, ცხადია, ყველაზედ უფრო ქართველობას ავნებს, რადგანაც ქართველ ახალგაზდობიდან თითქმის ყველა შეუძლებელია, ყველა ღარიბია...

თუ ეს ასეა, მაშ ქართველ საზოგადოებას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს იმით, რომ საზოგადოება დაარსდა უკვე და საქმე გათავდაო. ეს მეტად შემცდარი და დიდად მავნებელი ფიქრი იქნება. არა, ახალის საზოგადოების დაარსებით ჩვენს საზოგადოებას არ ეხდება ვალი თვითონაც მოაწყოს რამე თავის მშიერ და მწყურვალ შვილებისათვის!..

როგორ უნდა ვუშველოთ საქმეს? საეჭვოა, რომ განსაკუთრებულ საზოგადოების დაარსების ნების მიღება ადვილი იყოს, რადგანაც ერთი საზოგადოება, ყველა კავკასიელებისათვის, უკვე იხსნება. ჩვენის ფიქრით, ეს არც არის საჭირო, რადგანაც ჩვენა გვაქვს საზოგადოება, რომელსაც ნებაც აქვს და კიდევაც შეჰშვენის ხელი მოჰკიდოს ამ საქმეს. ჩვენ ვამბობთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ შესახებ. საჭიროა ამ საზოგადოების გამგეობამ იკისროს ამ საქმის თაოსნობა, გამოარკვიოს წეს რიგი დახმარებისა, ამცნოს ყოველივე ეს ქართველ საზოგადოებას, და ჩვენ გვწამს, რომ თანამგრძნობ-თანამშრომელს ბევრს იშოვის. ვიმეორებთ: ქართველ საზოგადოებას რამდენჯერმე უცდია ამ საქმის მოწყობა, თანამკრძნობიც ბევრია, მაგრამ რიგიანი ინიციატივა და საკმაო ენერგია არავის გამოუჩენია და საქმე შეჩერებულა. ნუ შეუშინდება ხსენებული გამგეობა „დამაბრკოლებელ მიზეზებს და სცადოს შესრულება საქმისა, რომელსაც დროცა და გარემოებანიც დაჟინებით თხოულობენ.

* * *

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

18 დეკემბერი.

კაპშტადტი. პარასკევს გამოიცა ბრძანება აფრიკანდერების უკანასკნელ კაბინეტის წევრის ტიუოტერის დატუსაღების შესახებ გრაფრეინეტში რევოლიუციონურ სიტყვის წარმოთქმის გამო.

პეკინი. ჩინელებმა მიიღეს სახელმწიფოთა ნოტის ყველა პირობები, ჰგზავნიან ოფიციალურ განცხადებას ამ პირობების მიღების შესახებ და თხოულობენ, რათა მოლაპარაკებას დაუყოვნებლივ შეუდგნენ და შესწყვიტონ სამხედრო მოქმედება.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება, რომ ინგლისელების პოზიციები გელვეციაში, რომელიც წარმოადგენს ძლიერ პოზიციას მახადადორპ-ლეიდენბურგის რკინის გზაზე, გუშინ დილით აიღეს ბურებმა; მოკლულია და დაჭრილი 50 ინგლისელი და ტყვედ წაყვანილი 200. პოლკოვნიკი კიტჩენერი იტყობინება, რომ იგი კვალდაკვალ მისდევს მტერს და რომ გელვეციის ხელ-ახლად დაპყრობის საქმეს ასრულებს ბელფასტიდან მოსული დამხმარე ჯარი.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება, რომ მდგომარეობა კაპის ახალშენში ცოტა შეიცვალა. ახალშენში შემოსული აღმოსავლეთის რაზმი, როგორც სჩანს, წვრილ-წვრილ რაზმებად დაიყო; დასავლეთის რაზმი მიდის კარნარვონისაკენ, მას მოსდევს კვალ-და-კვალ ტორნიკროფტომი. ფრენჩმა დაიკავა ვენტერსდორპი. კლემენტსი იტყობინება, რომ რუსტენბურგის გზაზედ მას წინააღმდეგობა გაუწიეს. აღმოსავლეთისაკენ მომავალ რკინის გზა პანის ახლოს აუფეთქებიათ და სტანდერტონისაკენ მიმავალ რკინის გზაზე, სადგურ ვაალის ახლო, დღეს დილით გააჩერეს მატარებელი. უაიტის რაზმი სენსკალში მოვიდა. ნოქსი და ბოისი არ უშვებენ დევეტს სამხრეთისაკენ.

ბერლინი. ვალდერზეე იტყობინება პეკინიდან, რომ სამხრეთისაკენ გაქცეულ ჯარებს ზდიეს ხოკიენამდე, 160 კილომეტრის სიშორეზე პეკინიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ; აქედან ისინი გაიქცნენ უწესრიგოთ სამხრეთისაკენ. კრიუგერის რაზმმა ნახა ლინკანშენთან პაოტინფუს აღმოსავლეთით დიდძალი სამხედრო მასალა, კრუპის სწრაფი მსროლელი ზარბაზნები, მაქსიმეს ზარბაზნები, თოფები, სანგალისმოსაწყობი მასალა, სატელეგრაფო მასალა და ხმელი პური; ეს ყველა დაუტოვებია აქ ლუტაიდან გაქცეულ ჯარებს.

პეკინი. ჩინეთის რწმუნებულნი მეტად გაოცებულნი არიან, რომ მათ მოუვიდათ ბრძანება მიიღონ სახელმწიფოთა საერთო ნოტის პირობები. ლიხუნ-ჩანგი და ცინი არ მოელოდნენ, რომ 10 დღეზე ადრე ისინი მოახერხებდნენ სასახლის დათანხმებას. იმპერატორის ბრძანების აზრია, რათა რწმუნებულებმა მიიღონ მთელი ნოტა, მაგრამ ამასთანავე უნდა ეცადნენ, რაც შეიძლება კარგი ცალკ-ცალკე პირობანი იქმნეს ჩამოგდებული, განსაკუთრებით შესახებ საელჩოების დარაჯების რიცხვის, საელჩობის ადგილის, რკინის გზის სადარაჯო რაზმების შემცირებისა და პოსტების დანგრევის შესახებ; სიმაგრეების შესახებ იმპერატორი თხოულობს, მათი დანგრევის მაგიერ იარაღი წაიღონ იქიდან. ლიხუნჩანგი ცუდათ არის და საეჭვოა შეიძლებოდეს რამეს გამოგონება გარდა იმისა, რომ გადაეცეს მთელი ვექილობა ცინს, სანამ არ დაინიშნება მეორე რწმუნებული. დღეს ლიხუნჩანგი პალანკინით მიიტანეს ცინთან, რომელთანაც მას დიდხანს ჰქონდა საუბარი. ცინმა მიიწვია ესპანიის ელჩი და სთხოვა მას გადასცეს დანარჩენ ელჩებს, რომ იმპერატორისაგან მოვიდა ბრძანება ხელი მოაწერონ რწმუნებულებმა სახელმწიფოთა ნოტას და ითხოვონ სამხედრო ექსპედიციების შეჩერება.

ბერლინი. პრუსიის სააქციონერო იპოტეკურს ბანკის გირავნობის ფურცლების მეპატრონეთა კრებამ ერთხმად დაადგინა, რათა მათმა წარმომადგენლებმა გადაიხადონ ყველა პროცენტები, რომელნიც კი გადასახადია 2 იანვრისთვის და 1 აპრილისათვის, რადგანაც დამტკიცდა, რომ ბანკის საქმეების მდგომარეობა მოსალოდნელზე უკეთესი აღმოჩნდა.

(სადამოს დეპეშები იხ. მეოთხე გვერდზე)

ყურნალ-გაზეთებიდან

※ ერთი რუსული გაზეთის კორესპონდენტი იწერება ლონდონიდან შემდეგს: «ინგლისში ეხლა ბედნიერი დღეებია — შობა-ახალწელიწადი. ეს უქმეები ინგლისელებისათვის მეტად საყვარელი დღეებია ყველა ინგლისელი ივიწყებს ამ დროს თავის დღიურ ჭირ-ვარამს და თავდავიწყებამდე ეძლევა ლხინს და გართობას.

მაგრამ ეს მეორე წელიწადია, რაც ინგლისელებმა ეს დღეები ვეღარ გაატარეს ჩვეულებრივის სიხარულითა და უდარდელობით. ბურებმა სულ ჩაუშხამეს გართობა და [illegible] თითქო ხშირი შავი ღრუბლები გადაეფარნენ ალბიონის ცას და დაუმალეს ინგლისელებს შობის კაშკაშა ვარსკვლავის შუქი.

ინგლისის ერი ჩავარდნილია დიდს ფიქრსა და სადარდებელში. სევდა ჟანგივით ეკიდება მის გულს. თანდათან თვალებს ახილებს ის და ჰხედავს, რომ ლამის თავისივე საკუთარი ხელით შემუსროს სახელი და დიდება თავისი დიადი ქვეყნისა.

უსამართლოდ დაღვრილი სისხლი აფრიკელი გმირთა-გმირებისა მოსვენებას არ აძლევს ინგლისის ხალხს. იგი თანდათან ჰფიქრობს — რა უნდა, რას ჩასციებია მისი მთავრობა ამ ერთ მუჭა გმირულ ერს — და რწმუნდება, რომ სხვა არაფერი, იმის გარდა, რომ ჩამოართვას მიწა-ადგილი და თითონ ბურების თავისუფალი ამაყი ხალხი მწველელ ფურად გადააქციოს. ეხლა იგი ცხადად ჰხედავს, თუ რა რიგა მოტყუვდა, როცა დასთანხმდა ამ უსამართლო საზიზღარ ომს. იმპერიალისტებმა და ცბიერმა, ჩალაში გავლილ პოლიტიკოსებმა მამულის სიყვარულის გრძნობის სიმები აუჟღერეს მას და დაიყოლიეს ამ ინგლისისათვის თავის მომჭრელს და შემარცხვენელ ომზე. ხალხი უფრო და უფრო რწმუნდება, რომ ამ ომს ჯერ ბოლო არა აქვს და თუნდაც სასურველად გათავდეს იგი, ხეირი მხოლოდ სესილ როდსისთანა პირებს ექმნებათ. ხალხს თანდათან სძაგდება ეხლანდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკა და ნაღვლიანად იხსენებს დიდებულს გლადსტონსა და მის დიდსულოვანს პოლიტიკას რომელიც ძალმომრეობასა და ჯიბრს საერთაშორისოსაქმეებში — მეტადრე პატარა ერებთან — კეთილშობილურად დათმობას რჩეობდა. აგონდებათ გლადსტონის მოქცევა ბურებთან 1881 წ., როცა მან შეარჩინა ბურებს ინგლისელი ჯარების მაიუბასთან დამარცხება, არ აჰყვა გულის თქმას და შურის ძიებას, ხელი აიღო ომზე და შეურიგდა ბურებს».

ბოლოს კორესპონდენტი იმედს აცხადებს, რომ ინგლისის ერი მოსთხოვს თავის პარლამენტს, როდესაც იგი შეიკრება მომავალ თებერვალში, რომ მან ხელი აიღოს სამხრეთ აფრიკის ომზედ და დაუტოვოს ბურებს სრული დამოუკიდებლობა.

※ მეორე რუსული გაზეთის ლონდონელი კორესპონდენტიც ამაზედ უფრო სანუგეშო აზრს ადგას:

«მართალია, ოპოზიცია გამოდგა უღონო და დუნე, პარლამენტის სხდომებმა ძლიერ უფერულად ჩაიარეს, მაგრამ მაინც მათმა დეპუტატთა პალატაში გამართულმა კამათმა სარგებლობა მოიტანეს. ჯონ ბერნსის, კეირ-გარდის, გილდის და გარკორტის სიტყვებმაც მართალია, ვერაფერი გავლენა ვერ იქონიეს პალატაზედ, მაგრამ ეს სიტყვები იბეჭდებოდნენ ათას გაზეთებში და

სწავლა შეძლება არ არის? შენს შეძლებას რა ოხრად დაარჩენ? პატრონობა არ უნდა? (ხელის გაპყრობით). ვენაცვალე უფლის სახელს, რომ ქაჩალი ქალიასი და თიადორეებიანი კეკუას ჯავრი ამომყარა!.. შვილო, თებრო, აბა გაიქეცი სამზარეულოში, ნახე ხომ ყველაფერს ამზადებენ... მეც ეხლავე მოვალ.

თებრო. მამიდაჯან, ძია დათებას ისეთი თევზები გამოუგზავნია, რომ სულ ცოცხლები...

თალალა. ჰოო? წადი, შვილო, მეც მოვდივარ. (თებრო გარბის მარცხნივ) „იმასაც ვნახავთ, ვისაც მიათხოვებს თალალა თავის ჰიან ქალსაო“, მაკრინეს უბრძანებია! გაიგე? „ჰიანსაო!“ მერე ვიზე უთქვამს? შენზე! (ქოქოლას აყრის). უი, მეხიკი დავაყარე იმის წილჩაოტიან თვალებს!

სიდო. სთქვან, დედა, რა ყურს უგდებ!

თალალა. (გაჯავრებით). რა უნდა სთქვან, ბედასლო! ვის გავაბედვინებ, ჩემ ქალზე კრინტი დასძრას!.. ჯერ დამაცადონ იმ დარდიმანდმა ქალებმა, თუ ციხეში არ ამოვალპობინო!.. მთელ ქალაქში სინსილას გავუწყვეტამ! ხვალვე გადავცემ ჩემ სიძეს იმათ თამასუქებს, რომ სულ დააწიოკოს, სახლკარი აუწეროს, ცოლშვილი გაუყიდოს! იმათ გასახეთქათ მთელ ჩემ ქონებას ჩემ სიძეს გადავცემ. ხვალვე ეკიპაჟს გიყიდით, ქუჩაში რომ გაიაროთ ქვეყანას თვალები დაუბრმავდეს!.. რაც ქვრივ-ოხრობაში მიშრომია, გროში გროშისთვის დამიკოწიწებია და ამოდენა ქონება შემიძენია... რამდენი ოინები და ჯადოქრობა ჩამიდენია; რამდენი თამასუქი გამიყალბებია და გამიბათილებია; რამდენი ცივი ღამე მშიერს გამითენებია კანკალით, მატუსალასავით მივლია დაკონკილი კაბით!.. განა იმიტომ, რომ ფული არა მქონია! არა, ფული მქონია, მაგრამ სარგებლით გამიცია, ერთი ხუთად მიქცევია! რისთვის? აი ამ დღისთვის! ეხლა ჩვენი ჯერია! ყეინს თავს არ დავუკრავ! ვიპარპაშებ და ვიდიდკაცებ!.. ქუჩაში რომ რიგიანად თავს არ მიკრავდნენ ჩვენი ვაჭრების ჩაჰლექებული ცოლები! სახლის კარებთან რომ მთელ საათს მაცდევინებდნენ და მერე გამოვიდოდა ბიჭი და მეტყოდა, ვერ მიგიღებენ, შეუძლოთა ბრძანდებიანო!.. ეხლა მე მიყურონ! შეუძლოთ მე გავხდი იმათ, საიქიოსაც გავისტუმრებ!... ახლა ჩემს გატყლარჭვასაც უყურონ, რომ კარებთან ხუთ-ხუთი საათი ვაცდევინო! ქუჩაში რომ შემხვდებიან, ჩემ „ლაქიას“ ვუბძანო, რომ ჩემ მაგიერ იმან დაუკრას თავი! მაშ! შენ კი იძახი: დედე, რაც უნდა სთქვანო! თვალს მოვთხრი და გულზე გავხეთქავ!.. ერთ ოხტავნოი ღენერალსაც ვიშოვი, ეხლა ხომ ბევრია...

სიდო. (გაეცინება). რა უცნაური ხარ, დედა-ჩემო! ღენერალი რად გინდა?

თალალა. ქა, საკავალროდ! მაშ! იმათ თუ ტყავიანი ბიჭები დასდევენ, მე ღენერლები გამომყვებიან!.. ერთი სამზარეულოს მივხედო... (მიდის). შენ ფული მითხარი, შვილო, ფული. (გადის).

სიდო. (მისძახებს). დედა, დაგიძახია ვისთვისმე?

თალალა. (კარებიდგან). გავლით ბაბეს უთხარი, ჩქარა გადმოდი მეთქი, კი არ მითქვამს, რა ამბავია.

სიდო. რას იფიქრებს ის ქალი! ხომ შეეშინდა, ეგონება რამე...

თალალა. თუ შეეშინდა, შევულოცავ!.. რას ტუტუცობ, ქალო! ამოდენა დედაკაცი კუნტრუშით გავრბოდი, რა იმისი მცხელოდა! (გადის).

სიდო. ძლივს ადამიანურად დავიწყობთ ცხოვრებას, თორემ რასა ჰგავს: ამოდენა ქონების პატრონისათვის გასვლა არ არის და მოსვლა! მეტადრე ის ვაჟი თუ ფხიანი ვინმეა, ჩვენ ოჯახს ქალაქში ცალი არ ეყოლება! ქა, რა გვაკლია? ფულითა თუ სარჩოთი ყელამდის სამსენი ვართ, ოღონდ კარგი პატრონი გვინდა. (ბაბე შუა კარით შემოდის).

იგივე და ბაბე.

ბაბე. (შეშინებულის სახით). სიდოჯან, რა მოხდა? როგორა ხართ?

სიდო. (სიხარულით). ძალუაჯან! (მოეხვევა, სიხარულით ტირის).

ბაბე. (შეშინებული). ახა-ვაგლახ-მე, რა მოხდა, შვილო? ვის რა მოუვიდა? მალე მითხარი, გული მიწუხდება!

სიდო. (თვალებს იწმენდს). ყველანიც კარგათა ვართ... ისემც გაიხარონ შენმა შვილებმა, როგორც ჩვენ დღეს სიმხიარულე გვმართებს!..

ბაბე. რა იყო, ქალო, აღარ იტყვი?

სიდო. (მხიარულად). დღეს ნიშნობა გვაქვს, ძალოჯან;

ბაბე. ვისი, ქალო?

სიდო. ვისი და ჩემი! სხვა ვისი იქნება? დედაჩემი ხომ არ გათხოვდებოდა და...

ბაბე. (გაოცებით). როგორ შენი? არ მატყუებ?

სიდო. რას გატყუებ-ქა! საცაა, ვაჟიაანი მოვლენ!

ბაბე (დამშვიდებით). დიდება ჩემ მაცხოვარს! კინაღამ გავგიჟდი! (ტახტზედ ჩამოჯ-

ეროვნული

ხალხა მილიონობით კითხულობდა. ამას გარდა, მხოლოდ ამ დეპუტატების წყალობით ცოტა-ოდენი სინათლე მაინც მოეფინა იმ საშინელ წყვდიას, რომელიც ახვევია სამხრეთ-აფრიკის საქმეებს. დეპუტატების სიტყვებზე მინისტრები აძლევდნენ პასუხებს და თუმცა ეს პასუხები ძალიან გადახვეულ-გადმოხვეულები იყო, მათ მაინც ჭეშმარიტება, ცოტა არ იყოს, გამოარკვიეს.

ჩემბერლენი გამოტყდა, რომ სამხრეთ აფრიკაში დიდი შიმშილობა დაიწყოო. მერე კამათის დროს აღმოჩნდა, რომ ორივე რესპუბლიკების ტერიტორია გაოხრებულია. ბურების სახლობებს წართმეული აქვთ ყოველნაირი ზამთრის სამზადისი. ნახნავები დაუთესავი აქვთ. შავი ხალხი, რომელიც ბურებისაგან შოვობდა ლუკმა-პურს, ეხლა უსაქმოდ და უსაჭმლოდ არის. ინგლისის მთავრობა იძულებულია შემწეობა აღმოუჩინოს მათ.

შემდეგ კამათობიდანვე აღმოჩნდა, რომ ომს დიდძალი ხალხი უმსხვერპლია, და ვინ იცის, კიდევ რამდენს იმსხვერპლებს. შემდეგ გამოირკვა ისიც, რომ თვით ინგლისის ჯარშიაც კი ბევრნი წინააღმდეგნი არიან ამ უსინდისო ომისა და მზად არიან ყოველთვის ბურების მხარეს გადავიდნენ. ამას გარდა გამოირკვა, რომ ყოველი ცოტაოდნათ ფასიანი თანამდებობა ორივე რესპუბლიკებში უჭირავთ იმ პირთ, ვინც ან პირდაპირ ან შორიდან იღებდნენ მონაწილეობას ჯემსონის ყაჩაღურ თარეშში და ამ ნაირად მთელი ეს ქვეყანა ხელთ აქვთ მიცემული სწორედ იმ პირთ, რომელნიც ბურებს ჭირივით სძულთ და რომელთა წყალობითაც ატეხილია ეს უბედური ომი. ამას გარდა გამოირკვა ისიც, რომ ტრანსვაალის ოქროს მრეწველობა ვერ დაჰფარავს იმ აურაცხელ ხარჯს, რომელიც ომზე წავიდა და კიდევ მოუნდება ადმინისტრაციას, პოლიციას და იმ ჯარს, რომელიც სამხრეთ-აფრიკაში იქნება დატოვებული».

ბილოს კორესპონდენტი ამბობს: «ლუდვიგ ბოტასი არ იყოს, ბურები თავის თავგანწირულ ბრძოლაში, იმაზე მეტს, რაც მათ დაკარგეს, ვეღარ დაჰკარგავენ; მოგებით კი შეიძლება ბევრი მოიგონ რამდენიც ომი გრძელდება, იმდენი სახოება ეკარგება ინგლისის ჯარს ეხლა სამხრეთ-აფრიკაში დადგება ტროპიკული სიცხეები და მასთან ერთად ინგლისელების წინააღმდეგ გამოილაშქრებენ ორი ახალი საშინელი მტერი — სახადი და ცხენის ჭირი. და იქნება მოახლოვებულიც იყოს ის დრო, როდესაც ინგლისის მთავრობა იძულებული იქნება ხ. თრევას ჩაუთლა არჩიოს. შეიძლება, რომ კიტჩინერმა განაგრძოს მომავალშიაც თავისი დაუნდობელი და უღმერთო სისტემა და ეცადოს, რომ ომი დაასრულოს ამ ორიოდე მომავალ თვეში. მაგრამ ამის იმედი არავის აქვს და ომი გასტანს მომავალ თებერვლამდე, როდესაც პარლამენტი შეიკრება და ეს პარლამენტი ძალას დაატანს მთავრობას, რომ მან მიანიჭოს ბურებს ეროვნული პარლამენტი და უზღოს მათ დამწვარი ფერმები და გაოხრებული სარჩო. კაპის ახალშენის აჯანყება შეაცვლევინებს მთავრობას ჩემბერლინისებურ პოლიტიკას. ხოლო ამ პოლიტიკის დამარცხება, იმპერიალიზმის დამხობა — მოასწავებს ცივილიზაციის მშვიდობიან განვითარებას და ევროპის პროგრესს».

※ პარიზის ოფიციალური გაზეთი «ტან» ინგლის ტრანსვაალის ომის შესახებ ამბობს, რომ ინგლისის მდგომარეობა თანდათან უარესი და უარესი ხდებაო.

«თავის სარდლების სტრატეგიული შეცდომებისა და იმ პოლიტიკის წყალობით, რომელსაც მისდევს ლონდონელი კაბინეტი, — ამბობს «ტან», — ბრიტანიის ჯარი ჩავარდა მეტად სამძიმო და საშიშ ყოფაში. იგი შემწყვდეულია რამდენიმე ქალაქში, რომელთაგან უმთავრესი არიან: პრეტორია, იოჰანესბურგი და ბლუმფონტენი. ამ ჯარს ხელთ უჭირავს მხოლოდ ამ ქალაქების მიდამოები და არა იმაზე უშორეს, სადამდინაც მისი ზარბაზნები მიჰსწვდებიან.

ამ ქვეყნების გამუდმებულ აოხრებისა და აკლების გამო ინგლისის ჯარი ვეღარა შოვობს საჭირო სურსათს და დამოკიდებულია კაპშტადტისაგან, სადაც ორი გძელი რკინის გზაა გაყვანილი. ამ გზების დაცვა ძალიან გასაჭირია და ბურების სარდლებიც ამ გზებს ატანენ სწორედ ძალას და არა ჰშორდებიან მათ.

ბურების რაზმები მეტის მეტად მარდად მოძრაობენ; ისინი იგებენ თავიანთ მზვერავებისა და მოხრობლების შემწეობით, სადაც ინგლისელები სუსტად არიან, ეცემიან მათ, იტაცებენ თოფ იარაღს, სამხედრო მასალას, საკვები სურსათის ქარავნებს და მაშინვე ჰქრებიან.

აი სწორედ ამ ხერხს მისდევენ ნიადაგ სასწაულთ მოქმედი დევეტი, დელარეი და სხვები. ნამდვილად რომ დაუკვირდეთ, ბრიტანიის ჯარი ხელ-ფეხ შეკრულია: იგი მთელს თავის ძალასა და ღონეს ალევს იმ უზარმაზარი რკინის გზის დაცვას, რომელიც ამასთანავე გაყვანილია უდაბურ ადგილებში.

ბრიტანიის ჯარის ესეთი გაჭირვებული მდგომარეობა შედეგია ლორდ რობერტსის სამხედრო გეგმისა. ეს სარდალი ყოველთვის ერთნაირად იქცევა: იგი გამალებული მიდის წინ და სრულებით არა ფიქრობს გავლილი ადგილების გამაგრებას. განთავისუფლა თუ არა კიმბერლეი, ის გაქანდა ბლუმფონტენში, იქიდან პრეტორიაში და შემდეგ უფრო შორს — ბარმინტონში და მახადადორფში.

შემდეგ ლორდ რობერტსმა ის შეცდომა ჩაიდინა, რომ აოხრა ორივე რესპუბლიკები, რის გამოც ამ ქვეყნებში ეხლა არავითარი სურსათი აღარ იშოვება. ახლა ლორდ კიტჩენერი იძულებულია რობერტსის შეცდომების გასასწორებლად მოითხოვოს კიდევ 40 ათასი ცხენოსანი ჯარი, რათა მათ შეწეობით დაიმორჩილოს ბურები».

ახალი ამბავი

◆ ორშაბათს, 18 დეკემბერს, ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში მოხდა საჯარო ვაჭრობა ტფილისის ქალაქის იმ მამულებზე, რომელზედაც დარჩენილი გარდასახადი მეპატრონეებმა ბანკში დროზე არ შეიტანეს. გასასყიდად დანიშნული იყო სულ 12 მამული, აქედან გაიყიდა მხოლოდ 9 მამული—57,967 მანეთად. ხოლო სამ მამულზე ხელმეორედ საჯარო ვაჭრობა დაინიშნა შემდეგ დღისათვის. სხვა ქალაქების მამულების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა დროზე ბანკის ხვედრ ფულის შემოუტანლობისათვის დანიშნულია დღეს, 20 დეკემბრისათვის.

◆ დღეს, 20 დეკემბერს, მოხდება კრება ტფილისის გუბერნიაში სწავლის გასავრცელებლად განზრახულის საზოგადოების დამფუძნებელთა. კრებაზე განხილულ იქნება საზოგადოების წესდების პროექტი.

◆ ორშაბათს, 17 დეკემბერს, სხდომა ჰქონდა ქალაქის იმ საგანგებო კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს მოაწყოს ნავთის ჰალის ექსპლოატაცია. კომისიამ გარდასწყვიტა ოთხ ნაწილად გაჰყოს ეს ადგილი და იჯარით გასცეს ერთი ნაწილი ნავთის ამოსაღებად. ნავთის ქების ამოსაწმენდად კომისია თხოულობს საბჭოსაგან 300 მანეთის კრედიტს.

◆ ხვალ, 21 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია, სხვათა შორის, ერთი საყურადღებო საქმე თავ. კონსტანტინე დადიანისა და თავ. ნიკოლოოზ ფალავასი, რომელთაც, როგორც მკითხველებს ამას წინედაც ვაცნობეთ, ჰბრალდებათ სამსახურის დროს პოლიციის ბოქაულის მოქმედებით შეურაცხყოფა.

◆ გუშინ, 19 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა, სხვათა შორის, განიხილა ერთი საქმე ტფილისის გუბერნიის, ახალციხის მაზრის, სოფელ საფიროს მცხოვრების გლეხის არჩილ აისურაძისა. საქმის გარემოება ასე ყოფილა: ბრალდებულს 1899 წლის 12 აპრილს ყანაში მუშაობის დროს შეუმჩნევია, რომ მამულის შესახებ რაღაც დავის გამო მისი მამისთვის ძმებს ჩხუბი აუტეხიათ, მისცვივნოდნენ და სცემდნენ, იგი გადაეშველა მამას და, ნახა რა, რომ მისი მამა დაჭრილი იყო გაანჩხლებულმა აილო ნაჯახი, დაჰკრა თავში თავის ბიძას პეტრე აისურაძეს და იქვე მოჰკლა. პირველად ეს საქმე განუხილავს ტფილისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია არჩილ აისურაძე გაანჩხლების დროს განზრახვით ბიძის მოკვლის საქმეში და გარდაუწყვეტია ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და სამი წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. აისურაძეს ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია სამოსამართლო პალატაში, რომელმაც გუშინ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

◆ გუშინ ტფილისში დაბრუნდა რუსეთიდან კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი ბელიავსკი.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ყარსის ოლქის გუბერნატორი სამოილოვი.

◆ ტფილისის მასწავლებელ ქალთა ერთი წრე ამ ჟამად მოწადინებულია დახმარება აღმოუჩინოს ტფილისის პირველ დაწყებით კერძო სკოლების ღარიბ მოწაფეთ. ამ სკოლებს პატრონი არა ჰყავს და მრავალი ბავშვი მეტად შეწუხებულია უკიდურეს სიღარიბით. ვერის კერძო სკოლაში, მაგალითად, ბევრი ფეხ-შიშველაც დადის სკოლაში ამ სიცივეებში... აი, ამ ბავშვების სასარგებლოდ მასწავლებელი ქალები აგროვებენ ფულს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და სხვა ამ გვარს და სთხოვენ ყველა ქველმოქმედთ და გულკეთილთ დახმარებას. შემოწირულებას იღებენ იაფ ფასიან ბიბლიოთეკაში (კაიდანოვისა), კიროჩნი ქუჩაზე.

◆ ქალაქის სკოლების გამგე კომისიის სხდომა, რომელიც შაბათს, 16 დეკემბერს, კომისიის წევრთა დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა, მოხდება ხვალ, 21 დეკემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში.

◆ ქალაქის სოლოლაკის პირველ დაწყებით სკოლის გამგეს ბ-ნ ფირუმოვს განცხადება შეუტანია ქალაქის სკოლების გამგე კომისიაში, რომელსაც სთხოვს იგი—შემოიღონ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებში გიმნასტიკა.

◆ ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის და განათებისათვის მომავალ წლისათვის გადიდვა 263,854 მანეთი; წელს ამ საქმეს მოჰხმარდა 226,217 მან., ასე რომ მომავალ წელს დაიხარჯება 37,637 მანეთით მეტი.

დება). იმ თავითვე უცნაური ადამიანი იყო დედა შენი! ქა, რაზედ გამიხეთქა გული! სულ ტანში მოვიშალე! ჩამოირბინა კარზედ, ყვირის თუ „ბაბე, ჩქარა ჩვენსა გადმოდიო“ და ქვეით გაიქცა!.. ქაა! სახტად კი დავრჩი: ვიფიქრე თუ, დამდგომია თვალი, სიდუას ხომ არაფერი დაემართა მეთქი! არც ლაზრუა ყოფილა დღეს სახლში, ვიფიქრე, თუ...

სიდო. (მხიარულად). აი, ხომ ხედავ, ყველანი კარგად ვართ... და რაც შეგშინებია, იმის სამაგიეროდ ძალიან უნდა გამხიარულდე!

ბაბე. მერე, ქალო, მიამბე, როგორ რა მოხდა?

სიდო. (მოუჯდება) თუ გახსოვს, ძალუაჯან, თელეთობას ჩვენმა ნიკოლამ ერთი ახალგაზდა ადვოკატი დაგვანახვა.

ბაბე. ჰო, დიახ, დიახ! შავთვალ-წარბა, ცქრიალა ვაჟი... ბევრი მუშტარიცა ჰყავსო, ამბობდნენ... ადვაკატია განა?

სიდო. დიახ! ადრევაც ბევრჯელ უთქვამს ნიკოლას იმაზედ, მაგრამ დედა არ უჯერებდა...

ბაბე. (სიცილით). მაშ ნიკოლაა მაჭანკალი? ის არიგებს?

სიდო. ჰო, მაშ! ახლა, ძალოჯან, დღეს კანპანია გაუმართავს ნიკოლას და ის ვაჟი დაუპატიჟენია... ძია ლაზრუაც იქა ყოფილა. ერთიც ვნახოთ, ბიჭი მორბის და ბარათი მოაქვს. ვკითხულობთ: ნიკოლა გვწერს თუ, აბა ძალიან მოემზადენით, ამა და ამ ფლანთან საქმე გამითავებია და სასიძო მომყავს ვახშმად! დედა კინაღამ გაგიჟდა სიხარულით. ჰაიარად ბიჭი აფრინა რამეების სასყიდლად და თითონ კი წმინდა ნიკოლოოზთან გაიქცა სანთლების ასანთებათ!

ბაბე. უი, გენაცვალეთ, რაზედ მომკლა იმ ადამიანმა!.. ზეციერმა მამამ გაგაბედნიეროს ჩემო მულის-წულო, როგორათაც დედიშენის დამშვიდებული გული სთხოვდეს! (ჰკოცნის).

იგინივე და თალალა.

თალალა. (მოსახვევ-წაკრული და დამკლავებული შემოდის). აგრეთვე შენ გაგიბედნიეროს შენი მშვენიერი შვილები!

ბაბე. (მიეგებება). ჩემო მულო! ადამიანო! რაზედ მომკალი დედაკაცი? ჯერაც გონზედ ვერ მოვსულვარ!.. მომილოცავს... (მიიწევს საკოცნელად).

თალალა. უკან, გენაცვა, სისხლიანი ხელები მაქვს, გაგსვრი: ინდაური გამოვწალი...

ბაბე. ქალოჯავ და, მაგ კაბით სისხლში ხელებს ურევ? დედაკაცი რას გიკეთებს?

თალალა. რა კაბით! თვალიც დაუდგება! ამისთანა დღეს კიდევ მოვესწრები! ღმერთმა ნუ მომასწროს... გოგო თიკო! ტაშტი და წყალი შემოიტანე, ხელი გადევიბანო. (გოგოს შემოაქვს ტაშტი და წყალი). შვილო, სიდო, პირსახოცი! მართალია, საპატარძლო კი ხარ, მაგრამ გვაპატიეთ, ეს უკანასკნელი იქნება შენი დასაქმება...

სიდო. ნუ იცი დედა, ადამიანის შერცხვენა! (შედის თავის ოთახში და გამოაქვს პირსახოცი).

თალალა. (ბაბეს ათვალიერებს) ქალო და! მაგ კაბით უნდა დახვდე უცხო სტუმრებს? დაასხი, გოგო! სად მამიჩემისაკენ იყურები? (ოდნავ თავში წაჰკრავს).

ბაბე. კაბა კი არა და თავიც დამავიწყდა! კინაღამ ამაღამდელი ღამე ლხინის მაგივრად სატირელი არ გაგიხდათ!

რა იყო, რა მოხდა? (ხელებს იწმენდს. გოგოს ტაშტი და წყალი გააქვს, სიდოს პირსახოცი და ისევ შემოდის).

ბაბე. ვა, რაღა რა მოხდა! გული გადმომიბრუნდა, შენ რომ დამიძახე, ჩქარა გადმოდიო და გაიქეცი!

თალალა. (ღიმილით). არა გიშავსრა, ილარიონის კაპლს დაგალევინებ და დამშვიდდები. ეხლა კი გასწი და მოირთე! აბა მორჩი, მალე! (მაჯის დუგმებს იკრავს).

ბაბე. რა ჩავიცვა? რომელ კაბას მირჩევ?

თალალა. რა დროს არჩევანია! გასწი, გასწი ეხლავე! რაც მოგხვდეს, რიგიანად ჩაიცვი, თორემ დაბახანის მრეცხავ ამოწუწულ დედაკაცსა გევხარ!

სიდო. ძალოჯან, ფირუზის ფერი კაბა ჩაიცვი, ძალიან გიხდება...

თალალა. ფირუზისა არა, ახლა ზურმუხტის ფერი! რაც მოგხვდეს, ჩაიცვი, ღამეა, არა უშავს-რა. მალე კი გადმოდი, საქმე ბევრი გვაქვს, მომეხმარები.

ბაბე. ეხლავე (მიდის).

თალალა. ქალო, სოფიოს და ანიკოს უთხარი გადმოვიდნენ: ერთი-ორი ქალი არ უნდა გვყავდეს? სირცხვილია, მეზობლები არიან.

ბაბე. კარგი, გენაცვა, კარგი! (კარებს გაადებს, ნიკოლა კარებში).

ა. ცაგარელი.

(დასასრული იქნება)

◆ ტფილისის სახლის პატრონებს ამ ჟამად 12000 მანეთზე მეტი ნედოიმკა. ჰმართებთ ქალაქის წყლის მილის სარგებლობისათვის. ქალაქის გამგეობამ სამი დღის ვადა მისცა მათ ფულის შემოტანისათვის. ვინც არ შეიტანს ამ ფულს, მას წყლის მიცემას მოუსპობენ.

◆ 18 დეკემბერს სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მიდობილი აქვს ნატახტარის წყაროების გამოკვლევა. სხდომაზე გადასწყდა კიდევ ერთხელ მოახდინონ წყაროების გამოკვლევა იანვარში, რისთვისაც საბჭოს სთხოვენ 1000 მანეთ კრედიტს.

◆ ტფილისის მეოთხე საპოლიციონაწილის ბოქაულად დაინიშნა ბოქაულის თანაშემწე დუშინსკი.

◆ გუშინდელს №-ში ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველთ სიმონ ჯაფარიძის მოკვლის ამბავი. აი ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები ამ ახალი საიდუმლო მკვლელობის შესახებ: სიმონ ჯაფარიძე 12 დეკემბერს წასულა თავის სახლიდან და უკან აღარ დაბრუნებულა. იმ დღეს იგი ყოფილა დიდუბეში ერთ აისორთან 300 მანეთის ვალის გამოსართმევად და შემდეგ სად წასულა, აღარავინ იცის. 18 დეკემბერს დილას მისი გვამი უნახავს ღრმა ღელის ერთს ხევში მეორე გიმნაზიის მოწაფეს ბორის ლოიკოს.

◆ გუშინ ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

◆ სად. სანაინიდან გვატყობინებენ, რომ 19 დეკემბერს, დილის 7 საათზე, მემანქანე იოსებ ჟუსტარევი და დურგალი კაზიმირ პეტრაშევიჩი ნახეს უგარისაგან უგრძნობელნი თავიანთ ოთახში. იმედი არა აქვთ, რომ გამობრუნდნენ. უგარი დუმელის გაუკეთებლობისაგან მომხდარა.

◆ სად. ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ 18 დეკემბერს, ღამის 3 საათზე, მანევრების დროს, მესისრე გრიგოლ ნინუას მარცხენა ხელი დაუშავდა.

◆ გუშინ ვერის ხიდის ახლო მტკვარში დაიხრჩო ახალგაზდა კაცი კოვალენსკი; განსვენებული ავადმყოფი იყო ლოთობისაგან.

◆ ს. ინაშაურიდან (ქუთაისის მაზრა) «ივ.» სწერენ: «ნოემბრის 27-ს, ღამით, აქაურ მცხოვრების ასლან ცხადაშვილის ეზოში «ბერდანის» თოფებით შეიარაღებულნი და ყაბალახებით თავშეხვეული ექვსი უცნობი კაცი ჩავიდა. ცხადაშვილს ამ დროს თავის ცოლშვილით ეძინა; დაუპატიჟებელმა სტუმრებმა ეზოში ჩასვლისათანავე თურმე დაუძახეს: «ასლან, ასლან გვინახულე!» მასპინძელს თურმე ეგონა, ვიღაც ნაცნობი სტუმრები მეწვივნენო და გამოეგება, მაგრამ საქმე სხვაფრივ აღმოჩნდა: სტუმრები კი არა, ეზოში ყაჩაღები იყვნენ. ამათ ასლანი მაშინვე დაიჭირეს და სახლში აღარ შეუშვეს: «გაჩერდი, ხმა არ ამოიღოო», უთხრეს; ორი ყაჩაღი კი სახლში შევიდა და ასლანის ცოლს ფული მოსთხოვეს. ქალმა მოასწრო გარედ გაქცევა და მორთო კივილი. მოაწყდნენ მაშინვე მეზობლები, მაგრამ ეზოში ვერავინ გაბედა ჩასვლა. «ახლოს არ მოხვიდეთ, თორემ დაიხოცებითო», იმუქრებოდნენ ყაჩაღები. ამ რიგად ცხადაშვილს ვერავინ ვერ დაეხმარა. ყაჩაღებმა დაამტვრიეს კამოდი და ზანდუკები, წაიღეს 250 მანეთი და სხვა-და-სხვა ნივთები და არხეინად გაუდგნენ გზასა. ორის კვირის წინად იგივენი ინაშაურშივე მცხოვრებს დარისპან გაბუნიას დასცემოდნენ და 300 მანეთი ფული წაეღოთ. როგორც ამბობენ, ყაჩაღები აქაურები არიან, რიონ გამოღმა მხარისანი. სამი მათგანი თავადია, ორი აზნაური და ერთიც გლეხიო; ორი მათგანი ციმბირიდან წამოსულია, ორს გადასახლება აქვს გარდაწყვეტილი და ორიც გამეოდ-გამომეოდნი არიანო. ყაჩაღების დასაჭერად მაშინვე ქუთაისის მაზრის უფროსი თავადი დადიშქელიანი, ბაღდადის ნაწილის ბოქაული გრეკოვი და ბოქაულის თანაშემწე იაშვილი მობრძანდნენ; ამათთან სამოცამდე დარაჯი ახლავთ, დადიან სოფლებში და ყაჩაღებს დაეძებენ. ცხადაშვილის ცოლს ორი მათგანი ვითომ უნდა ეცნოს ხმით, რომლებიც უკვე დაჭერილნი არიან. დღეს, 8 დეკემბერს, ამბავი მოვიდა, რომ ადმინისტრაციამ ს. ოფიშკვითში თავ. ე. ნიჟარაძისას დაიჭირა ერთი მათგანიო; რამდენად მართალია, ჯერ არ ვიცით.

ქალაქის საბჭო

18 დეკემბერი

ორშაბათს, 18 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს სხდომა დაიწყო საღამოს 9 საათზედ ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით. 11 დეკემბრის სხდომის ოქმის შეუცვლელად დამტკიცების შემდეგ, ქალაქის მოურავმა აუწყა საბჭოს გარდაცვალება საბჭოს ხმოსნად ნამყოფის თავ. ა. ს. ბებუთოვისა, რომლის სახელს საბჭომ, მოურავის წინადადებით, ფეხზედ ადგომით პატივი სცა. შემდეგ საბჭომ დაამტკიცა გამგეობისაგან შემუშავებული 1901 წლისათვის საბჭოს მორიგი სხდომების წეს-რიგი, რომლითაც საბჭოს სხდომები მოხდება: იანვარში: 8 და 22-ს, თებერვლის 5, 19 და 26, მარტის 5,19 და 26, აპრილის 9, 16 და 30, მაისის 7 და 28, ივნისის 4 და 11, სექტემბრის 3 და 24; ოქტომბრის 8 და 29; ნოემბრის 5, 12 და 26 და დეკემბრის 10 და 17-ს. წაკითხულ იქმნა ტფილისის სახაზინო პალატის მოწერილობა მომავალ წლისათვის 5 სავაჭრო დეპუტატისა და 2 მათი კანდიდატის არჩევნების შესახებ იმათ ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ. კენჭის ყრით დეპუტატად ამორჩეულ იქმნენ შემდეგნი პირნი: ბ. ზურაბოვი, კვეზერელ-კოპაძე, სტეფანოვი, აბაზოვი, ამირალოვი, ხოლო კანდიდატებად: ყარიბოვი, მათიაშვილი და დანარჩენნი: ბ-ნი ალელოვი, ბადინოვი, მაისურაძე, ჯმუხაძე, ზაკხევსკი, კაფიევი და სუნადჟიანი კანდიდატებად იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა რაიმე მიზეზისა გამო რომელიმე სავაჭრო დეპუტატმა თვის თანამდებობას თავი დაანება. საბჭომ, თანახმად ქალაქის გამგეობის დადგენილებისა, გადასწყვიტა განასაჩივროს უმართებელეს სენატში გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს დადგენილება, რომლითაც განთავისუფლებულ იქმნა თავ. სუმბათაშვილების მამული შემოსავლობისა გამო ქალაქის დასაფასებელ გარდასახადისაგან წინააღმდეგ საბჭოს დადგენილებისა. შემდეგ საბჭოს ეცნობა საერო განათლების მინისტრის მოწერილობა ქალაქის სახელოსნო სკოლის გადაკეთების შესახებ. საბჭომ დაადგინა, გადაეცეს ეს საქმე ყოველ მხრით განსახილველად ქალაქის სკოლების გამგე კომისიას, რომელმაც შემდეგ თვისი მოხსენება უნდა წარუდგინოს საბჭოს. საბჭომ მოისმინა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის მიწერილობა ტფილისში საადრესო სტოლისა და ეზოს ცველთა დასაწესებლად სავალდებულო დადგენილებათა შემოღების შესახებ. ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია ხმოსანთა შორის. ვრცლად ილაპარაკა ამ საგნის შესახებ ხმოსანმა ბ-ნ ანანოვმა, რომელმაც, სხვათა შორის, ის სთქვა, რომ ამ სავალდებულო დადგენილებათა შემოღება დიდ ტვირთად დააწვება მცხოვრებთ, რადგანაც უამისოდაც ბევრი სხვა და სხვა გარდასახადია მათზე; ამას გარდა იმ წესით, როგორც ამ დადგენილებებში ნაჩვენებია, ეზოს მცველთა შემოღება ყოვლად შეუძლებელია და მოუხერხებელი, რადგანაც მცხოვრებთა უმრავლესობამ სრულებით არ იცის რუსული ენა და საიდან შეიძლება ვიშოვნოთ რუსული ენის მცოდნე ეზოს მცველი, ხოლო უამდადგენილებოდაც, ვისაც შეძლება აქვს, კიდეც ჰყავს თვის ეზოებში მცველნიო. ეს წესი თუმცა სასურველია შემოვიღოთ, მაგრამ რა ვქნათ, როცა მისი განხორციელება ყოვლად შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ სულ ახალი და ახალ გარდასახადების შემოღება, როგორც ვთქვით, მეტად შეავიწროებს მცხოვრებლებსაო.

ხმ. სულხანოვი. რომ ეს დადგენილებანი განვახორციელოთ, საჭიროა 3,000 ისეთი კაცი, რომელთაც თავისუფლად შეეძლებათ სახელმწიფო ენაზე საქმის წარმოება; ტფილისში კი ერთს და ორს თუ გამოვნახავთ ამისთანას და საიდან შეგვიძლიან ეს ამოდენა „განათლებული“ ხალხი გამოვიწეროთო. მე ჩემად და ხმ. მალინინის მხრივაც ვაცხადებ, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ საქმის განხორციელება და ამიტომ ეს საკითხი ნაადრევად უნდა ჩაითვალოსო. არ მოხერხდება აგრეთვე საადრესო სტოლი, რადგანაც ის იქ არის საჭირო, სადაც ბევრი მომსვლელ-წამსვლელია და ტფილისში ბევრი არავინ მოდის და რამდენიმე კაცი თუ ჩამოდის, სასტუმროებში ჩერდებიან და კარგად შეუძლიანთ მათი გაგებაო. მე ვიცი ერთი დიდი ქალაქი-პარიზი, სადაც საადრესო სტოლის ხსენებაც არ არის და მით უმეტეს ტფილისისათვის ეს მეტი იქნებაო.

ამათ მიემხრო ხმოსანი ა. ს. ბაბოვიც.

ხმ. გ. თუმანოვი საადრესო სტოლისა და ეზოს მცველთა ინსტიტუტის შემოღება ისევე საჭიროა, როგორც ქალაქის ქუჩების განათება, მოკირწყვლა და სხვა. ამათ უარის მყოფელი თითქმის უარის მყოფელია ქალაქის ზრდა განვითარებისა. სასურველია ამ სავალდებულო დადგენილებათა შემოღება, ხოლო თუ საბჭოს არ უნდა შემოიღოს იმ წესით, როგორც ეს გამგეობის მოხსენებაშია ნაჩვენები, მაშინ საქმე გადავცეთ კომისიას, რომელმაც შეიმუშაოს ეს წესი ისე, როგორც ეს ჩვენი ქალაქისათვის უმჯობესი იქნებაო.

კამათის შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა — უარჰყოს ტფილისში საადრესო სტოლის შემოღების საქმე, ხოლო ეზოს მცველთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ შემუშავებული წინადადება ნაადრევად იქმნას ცნობილი.

ხმოსანთა შორის აგრეთვე კამათი გამოიწვია თხოვნამ საბჭოს ხმოსნად ნამყოფის ბ-ნ კონდურალოვისამ, რომელიც, როგორც უკვე თავის დროზე გვქონდა აღნიშნული, თხოულობდა, რომ რადგანაც დამფასებლად აღარ ამომირჩიეს და ჯამაგირიანი ადგილი აღარა მაქვს, ნება უნდა მომეცეს ისევ ისე განვაგრძო ხმოსნის თანამდებობის აღსრულებაო. საბჭოს მდივანმა ბ-ნმა პრულაშვილმა წაიკითხა საბჭოს იმ დროს დადგენილება, როცა კონდურალოვი დამფასებლად იქმნა ამორჩეული, საიდანაც სჩანს, რომ საბჭოს მიუღია ხმის უმეტესობით კონდურალოვის მაშინდელი განცხადება; „თუ დამფასებლად ვიქნები ამორჩეული, მე საბჭოს ხმოსნობაზე უარს ვიტყვიო“. გამგეობის აზრს, რომ კონდურალოვს, რადგანაც ოფიციალურად ხმოსნის თანამდებობა არ დაუტოვებია, შეუძლიან განაგრძოს ეს თანამდებობა ეხლა, როცა იგი დამფასებლად აღარ არისო, მიემხრნენ ხმოსნები ბაბოვი, სულხანოვი, გამგეობის წევრი ხოსროევი და სხვანი. ხმოს. ბაბოვმა განაცხადა, რომ მე მაშინ კანდურალოვის ხმოსნობაზედ წინააღმდეგი ვიყავი, რადგანაც მან ჯამაგირიანი ადგილი მიიღო, რაც უხერხულია ხმოსნის წოდებისათვის, ხოლო ეხლა არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს, რომ მან ისევ განაგრძოს სამსახური საბჭოშიო, ხოლო რაც შეეხება ხგ. ბალდასაროვს, ის უნდა ვსთქვა, რაც წინედ კონდურალოვის შესახებ და თუ მან თვისის ნებით არ განაცხადა საბჭოში უარი ხმოსნობაზე, მე თვით შევიტან განცხადებას, რომ საბჭოში იმ ხმოსნის სამსახური, რომელსაც მისივე არჩევით ჯამაგირიანი ადგილი აქვს, ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნიაო.

ხმ. ბალდასაროვი (გაცხარებით). ბ-ნო თავმჯდომარევ, ნება მომეცით, რადგანაც ბაბოვს ნებას აძლევთ, რომ ჩემს პირადობას შეეხო, მეც პასუხი ვუგოო. ბ-ნ კონდურალოვისაგან ხმ. ბაბოვის მაშინდელ წინადადებაზედ განცხადება მე ყოვლად უხერხულად მიმაჩნია, რადგანაც აქ ნდობაა გამოცხადებული და, მაშასადამე, იმ მოსაზრებით, რომ ჯა გირიან ადგილზე ყოფნის დროს ხმოს თანამდებობის აღსრულება უხერხულია, ნაურად მეჩვენება. მე რომ ხმ. ბაბოვს წ სულს სხდომაზე პასუხი არ ვუგე, ეს იმი რომ მე საზოგადოდ ხმ. ბაბოვის მოსაზრ მაგდენ ყურადღებას არ ვაქცევ (სიცილი), სი წინადადება ჩემთვის სავალდებულო არის, მე მაგისი ულტიმატუმის მიმღები გახლავართ. საბჭომ დაამტკიცა გამგეო დადგენილება, რომლითაც ნება ეძლევა ბ კონდურალოვს განაგრძოს ხმოსნის თანა დებობის აღსრულება საბჭოში.

რამდენიმე წვრილმან საქმეების განხი ვის შემდეგ საბჭომ დაამტკიცა ქალაქის მგეობის დადგენილება, რომლითაც პასუ გებაში იქმებიან მიცემულნი მეონკანე ნიაშვილი და ქალაქის დამსუფთავებელ სა გურის ბუჰღალტერი კარტაშევი და თავი სტეფანოვი, რომელთაც სამსახურ ასრულების დროს ბოროტ-მოქმედების დენა ჰბრალდებათ. საბჭოს სხდომა გათა საღამოს 11 საათზე.

საღამოს დეპეშები

19 დეკემბერი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ.“ იუწყე რომ გემ „ვოლდე ტამატავ“-ით 17 დეკ ბერს იალტაში მოვიდა მე 4 საარტილერ დივიზიის მე-13 მსროლელთა პოლკის ეშ ეშელონი, რომელიც ხელმწიფე იმპერატო მა დაათვალიერა ლივადიაში. შემდეგ ჯარ კაცთ გაუმართეს სადილი, რომელზედაც მ ვიდა ხელმწიფე იმპერატორი. ხელმწიფ ხელში აიღო ჭიქა და წარმოსთქ «მე ბედნიერი ვარ, ძმებო, რომ გხედავთ თქ აგრე უვნებლად დაბრუნებულებს შორეულ გ დან და ძნელის ლაშქრობიდან. ვსვამ სადღეგ ძელოს სახელოვანის და გაუტეხელის მ მსროლელთა ბრიგადისას, მე-13 მსროლე პოლკისა და მე-4 საარტილერიო დივიზ ბატარეისას». კაზარმიდან წასვლის დროს ხე მწიფე იმპერატორმა სთქვა: «კიდევ ერთხ გმადლობთ თქვენის ვაჟკაცურის სამსახურის ვის. ვისურვებ, რომ ჯანსაღად დაბრუნებულ ვეთ სახლში». ნაშუადღევის 12½ საათ ლივადიის სასახლეში გაიმართა საუზმე, რ მელზედაც მიწვეულ იქმნენ ეშელონ ოფიცრები. 4 საათზე მისი უდიდებულესო მიბრძანდა იალტის ნავთ-სადგურზე, სად იდგა გემი „ტამატავი“, ავიდა გემზე და თ ვისავე ხელით დაურიგა ფელდფებელებს უნტერ-ოფიცრებს სამხედრო ორდენის ნი ნები.

ლონდონი. „ტიმს“-ში დაბეჭდილია კინიდან დეპეშა, რომელშიც საშინელი ჩივარია გამოცხადებული გერმანელ მოქმედების შესახებ ჩჟილის პროვინცია სასტიკი დასჯა ჩინელებისა დამნაშავეთა ნურჩევლად, ჯარიმების გარდახდევინ მშვიდობიან მცხოვრებთა, ადგილობრივ მთ რობის დამცირება — ყველა ეს უფრო აღ ვებს ხალხს, იმის მაგიერ, რომ მშვიდობ ნობა დაიცვას. კორესპონდენტს მოჰყ გერმანელების ვერაგობისა და შურისძიე მაგალითები უდანაშაულო მცხოვრებთად. ამით, ამბობს იგი, მცირდება პრესტი უცხოელთა ჩინეთში“.

პარიჟი. სასამართლომ კიუნიეს საქ შესახებ ის აზრი გამოსთქვა, რომ ბრალ ბული არ უნდა დაეთხოვათ სამსახურიდ სამხედრო დისციპლინის დარღვევისათვის. დადგენილება სასამართლოში გავიდა ოთ ხმით — წინააღმდეგ ერთისა. მეორეს მხრ იმის, რომ ანდრემ განკარგულება მოახ ნა 60 დღით დააპატიმრონ კიუნიე.

პეკინი. რადგანაც პეკინის მიდამოე და პეკინ-პაოტინფუს რკინის გზაზე გრ დება ჩინელი ჯარები და მოკრივენი, ტომ საფრანგეთისა და გერმანიის სადარა რაზმები გაძლიერებულ იქმნენ ყოველ შ თხვევისათვის. პოლკოვნიკ გილიოს, რომე საც 500 კაცი ჰყავს, ცინ-დიდ-ფუს ახ ემუქრება რამდენიმე ათასი ჩინელი ჯა კაცი; მისაშველებლად წავიდა გენერა ბალიუ.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Декабря 1900 г.
სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.